ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1888548

ნომერი: AR1307589

თარიღი : 06.05.2015

გაცემის თარიღი : 11.05.2015

გაცნობის თარიღი : 11.05.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი თავისუფლება , N4 ; ქალაქი თბილისი , მოედანი თავისუფლება , N 4 , (ნაკვ. 66/17) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაია რჩეულიშვილი პ/ნ 01017003383
- თბილისი ლ.ბოცვაძის ქ. N 14

ორგანიზაცია:

- გეითვეი ჰოლდინგი კოდი: 204531499

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1307589 (06.05.2015) განცხადების პასუხად გაცნობებთ, იმისათვის რომ სამსახურმა განიხილოს საკითხი საჭიროა დახარვეზებული მოთხოვნის ტექსტის ველში დააკონკრეტოთ მოთხოვნა, თუ რაში მდგომარეობს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება. აღნიშნულის განსახორციელებლად უნდა წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეების კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილი მინდობილობა ან თანხმობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ამასთან, გაცნობებთ, რომ არასწორედ გაქვთ მითითებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების რეკვიზიტები. გთხოვთ, მიუთითოთ სამშენებლო პასპორტის შესაბამისი რეკვიზიტები.

ასევე, გაცნობებთ, რომ ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, საკითხი უნდა განიხილოს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ“, რისთვისაც საჭიროა ამავე განაცხადზე დამატებით ატვირთოთ საპროექტო წინადადების ესკიზური ვარიანტი („რენდერი“, მოცულობის ელ. ვერსია ფოტომონტაჟით მიმდებარე გარემოში) და არსებული სიტუაციის ფოტოსურათები;

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად და მოთხოვნის დასაკონკრეტებლად. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია და დაკონკრეტებული მოთხოვნა, საკითხი დარჩეს განუხილველი.

ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.